გᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲮᲐᲠᲘᲡᲮᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲪᲔᲜᲢᲠᲘ
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

# აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება

საკვები პროდუქტების ტექნოლოგია და უვნებლობა

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი 19 თებერვალი 2019 წ

დასკვნის წარდგენის თარიღი
19 მარტი 2019 წ

თბილისი
2019

## ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

| | |
|---|---|
| დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით | სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი |
| დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი | 212693049 |
| დაწესებულების სახე | უნივერსიტეტი |

## ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

| | |
|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება | საკვები პროდუქტების ტექნოლოგია და უვნებლობა |
| განათლების საფეხური | ბაკალავრიატი |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით | სასურსათო ტექნოლოგიის ბაკალავრი, 0104 |
| სწავლების ენა | ქართული |
| კრედიტების რაოდენობა | 240 კრედიტი |
| პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი) | აკრედიტებული |

## ექსპერტთა ჯგუფის წევრები

| | |
|---|---|
| თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | ლევან გულუა, საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი, საქართველო |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | გაგა ბუიშვილი, თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი/ საქართველო |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | ნინო დეკანოიძე/ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო/საქართველო |

## აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, (როგორც ნ. მუსხელიშვილის სახ. სახელმწიფო ტექნიკური უნივერსიტეტის სამართალმემკვიდრე) 1968 წლიდან ამზადებდა უმაღლესი განათლების მქონე კადრებს კვების მრეწველობის სფეროსათვის შემდეგი საგანმანათლებლო პროგრამებით:

„პურის, მაკარონისა და საკონდიტრო წარმოების ტექნოლოგია“, „საზოგადოებრივი კვების ტექნოლოგია და ორგანიზაცია“, „სამადუღრო წარმოების ტექნოლოგია“, „კვების პროდუქტების ტექნოლოგია“, „კვების პროდუქტების საქონელმცოდნეობა და ექსპერტიზა“. 2011 წლიდან უნივერსიტეტში ფუნქციონირებს „სასურსათო ტექნოლოგიის“ საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამები. 2014 წლიდან „სასურსათო ტექნოლოგიის“ საბაკალავრო პროგრამა ხორციელდება სახელმწიფო დაფინანსებით.

წარმოდგენილი საბაკალავრო პროგრამა „საკვები პროდუქტების ტექნოლოგია და უვნებლობა“ მოდერნიზებული ვერსია და ლოგიკური გაგრძელებაა დღემდე მოქმედი საბაკალავრო პროგრამისა „სასურსათო ტექნოლოგია“ და წარმოადგენს ამავე მიმართულების სამაგისტრო და სადოქტორო განათლების მიღების საფუძველს.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

ვიზიტი განხორციელდა 2019 წლის 19 თებერვალს წინასწარ შედგენილი დღის წესრიგის შესაბამისად.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

საკვები პროდუქტების წარმოებისა და სურსათის უვნებლობის პრობლემათა აქტუალობა და შრომის ბაზარზე ამ მიმართულების უმაღლესი განათლების მქონე კადრებისადმი არსებული მაღალი მოთხოვნა განაპირობებს აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ „სასურსათო ტექნოლოგიის“ უმაღლესი საგანმანათლებლო (საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო) პროგრამების განხორციელების მიზანშეწონილობას.

აღნიშნულ პროგრამებს ახორციელებს აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „საკვები პროდუქტების ტექნოლოგიების“ დეპარტამენტი, რომლის აკადემიური პერსონალის (3 მეცნიერებათა დოქტორი და 6 აკადემიური დოქტორი) მაღალი

პროფესიონალიზმი, მათ მიერ წარმოებული კვლევების აქტუალობა და ხარისხი, განაპირობებს განსახორციელებელი პროგრამების მაღალ აკადემიურ ხარისხს.

პროგრამა შედგენილია უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტების მიხედვით, რომელიც ეყრდნობა დასავლურ საგანმანათლებლო სტანდარტებს, შეესაბამება ბოლონიის დეკლარაციის პრინციპებს და ითვალისწინებს ეროვნულ თავისებურებებს.

**პროგრამის მოცულობა შეადგენს 240 ECTS კრედიტს: მათ შორის:**

ძირითადი (major) პროგრამა - 180 კრედიტი (8 სემესტრი).

მათ შორის: საუნივერსიტეტო სავალდებულო კურსები - 23 კრედიტი; საფაკულტეტო სავალდებულო კურსები - 60 კრედიტი; ძირითადი სპეციალობის სავალდებულო კურსები - 57 კრედიტი; არჩევითი კურსები - 40 კრედიტი.

დამატებითი (minor) პროგრამა - 60 კრედიტი, (6 სემესტრი).

პროგრამის განხორციელებაში ჩართულია ქალაქისა და რეგინის კვების წამყვანი საწარმოო ორგანიზაციები. პროგრამა უზრუნველყოფილია სასწავლო-მეთოდური რესურსითა და შესაბამისი მატერიალურ– ტექნიკური ბაზით. ვიზიტის დროს გამოიკვეთა გარკვეული შენიშვნები:

სილაბუსებში ნაკლებადაა გამოყენებული ინგლისურენოვანი თანამედროვე ლიტერატურა. საგნებში „სამაცივრო ტექნოლოგიები“ და „კვების მრეწველობის პროცესები და მოწყობილობები“ გამოყენებული ლიტერატურა მოძველებულია, უკანასკნელ საგანში კი ძირითადად რუსული ლიტერატურაა გამოყენებული.

საწარმოო პრაქტიკა (სილაბუსის ნიხედვით) ძირითადად ეთმობა ამა თუ იმ პროცესის უბრალოდ გაცნობას, სტუდენტების მონაწილეობა უშუალოდ წარმოებაში არ ჩანს. საგნების „გამოყენებითი მექანიკა“ და „ელექტროტექნიკა“ შინაარსი არ შეესაბამება სასურსათო ტექნოლოგიების ბაკალავრის კომპეტენციებს.

**დადგინდა, რომ პირველი, მესამე, მეოთხე და მეხუთე სტანდარტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, ხოლო მეორე სტანდარტი მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან .**

- **რეკომენდაციები**

- სილაბუსებში გაძლიერდეს ინგლისურენოვანი ლიტერატურის გამოყენება
- საგნები „გამოყენებითი მექანიკა“ და „ელექტროტექნიკა“ გადატანილ იქნას არჩევითი საგნების ბლოკში, ხოლო მათ ნაცვლად, გამოთავისუფლებული კრედიტები დაეთმოს ძირითადი სპეციალობის უფრო გაღრმავებულად შესწავლას

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- საწარმოო პრაქტიკაში მეტი ყურადღება დაეთმოს სტუდენტების წარმოების პროცესში უშუალო მონაწილეობას
- დაზუსტდეს საგნის „კვების მრეწველობის პროცესები და მოწყობილობები“ სილაბუსის საკითხები

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

- **განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**
-

წინა აკრედიტაციის რეკომენდაციების შესაბამისად პროგრამის მიზნებისა და საბოლოო შედეგების შეუცვლელად განხორცილედა მისი სტრუქტურული მოდერნიზაცია. მოხდა პროგრამაში არსებული კურსების შინაარსის გაღრმავება და გაფართოება. მაგალითად, „ხორცის და ხორცის პროდუქტების წარმეობის ტექნოლოგიის“ 15 სალექციო თემა, რომელთაგანაც 11 ეხებოდა ტექნოლოგიის საკითხებს, ხოლო 4 - ნედლეულისა და მზა ნაწარმის ხარისხის კონტროლის საკითხებს, გაფართოვდა თემების რაოდენობა (რაც ხელს უწყობს პროგრამის დასახული მიზნების უკეთ მიღწევას) და აღნიშნული კურსი გაიყო 2 ნაწილად: „ხორცისა და ხორცის პროდუქტების ტექნოლოგია“ და „ხორცის საქონელმცოდნეობა და ექსპერტიზა“. ასეთი ცვლილებების შედეგად პროგრამას დაემატა შესაბამისი კურსები. აღნიშნული ცვლილებების შემდეგ პროგრამის მოცულობის გათვალისწინებით პროგრამაში გამოიყო 2 არჩევითი მოდული: „კვების პროდუქტების ტექნოლოგია“ და „სასურსათო საქონელმცოდნეობა და ექსპერტიზა“, რაც სრულ შესაბამისობაშია შრომის ბაზრის თანამედროვე მოთხოვნებთან.

-

# პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

## 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

| 1.1 პროგრამის მიზნები |
|---|
| პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული იგი და რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>საბაკალავრო პროგრამის „საკვები პროდუქტების ტექნოლოგია და უვნებლობა“ მიზანია<br><br>ზუსტ, საბუნებისმეტყველო და ზოგად საინჟინრო მეცნიერებების ფუნდამენტალური თეორიებისა და პრინციპების საფუძველზე მოამზადოს საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი მაღალკვალიფიციური, კონკურენტუნარიანი სპეციალისტი საკვების პროდუქტების ტექნოლოგიებისა და უვნებლობის უზრუნველყოფის სფეროს მაღალი დონის ცოდნითა და ფართო<br><br>დარგობრივი კომპეტენციებით, რომელიც ორიენტირებული იქნება პრაქტიკულ საქმიანობასა და/ან სწავლის გაგრძელებაზე უმაღლესი განათლების შემდეგ საფეხურებზე. ძირითადი მიზნის მიღწევისათვის პროგრამის განხორციელების პროცესში წყდება შემდეგი კონკრეტული **ამოცანები:**<br><br>მისცეს სტუდენტს მაღალი დონის ცოდნა:<br><br>- ზუსტ (წრფივი ალგებრა და ანალიზური გეომეტრია, მათემატიკური ანალიზი), საბუნებისმეტყველო (ზოგადი, არაორგანული, ორგანული, ანალიზური, ფიზ-კოლოიდური ქიმია, ფიზიკა, ბიოლოგია) და ზოგადსაინჟინრო (საინჟინრო გრაფიკა, ელექტროტექნიკის საფუძვლები, გამოყენებითი მექანიკა და სხვა) დისციპლინების ფუნდამენტალური თეორიების და პრინციპების შესახებ, გამოუმუშაოს მათი კრიტიკული გააზრებისა და „საკვები პროდუქტების ტექნოლოგიის და უვნებლობის“ სფეროში ინტეგრირების უნარი.<br><br>- საკვები პროდუქტების წარმოებაში გამოყენებული ნედლეულის ქიმიური შედგენილობის, ტექნოლოგიური თვისებების, მათი ხარისხის და უვნებლობის მახასიათებლების შესახებ;<br><br>- საკვები პროდუქტების (პურ-ფუნთუშეული და საკონდიტრო ნაწარმის, |

| |
|---|
| ხორცისა და რძის პროდუქტების, ალკოჰოლიანი და უალკოჰოლო სასმელების, საზოგადოებრივი კვების პროდუქტების) კლასიფიკაციის, წარმოების ტექნოლოგიური სქემებისა და პარამეტრების, გამოყენებული ტექნოლოგიური მოწყობილობების, მიღებული პროდუქტის ხარისხისა და უვნებლობის უზრუნველყოფის გზებისა და მეთოდების შესახებ;<br><br>ადამიანის ორგანიზმზე საკვები პროდუქტების გავლენისა და კვების თანამედროვე კონცეფციების შესახებ;<br><br>- საკვები პროდუქტების ტექნოლოგიისა და უვნებლობის სფეროში ქვეყნის და რეგიონის პრობლემების და უახლესი მიღწევების შესახებ;<br><br>- ინფორმაციის მოპოვების (მათ შორის უცხო ენაზე) გზების და მეთოდების შესახებ და გამოუმუშაოს კრიტიკული ანალიზის, დასკვნის გაკეთებისა და მათი პრაქტიკულ საქმიანობაში გამოყენების უნარი.<br><br>პროგრამის მიზანი შესაბამისობაშია სასურსათო ტექნოლოგიის ბაკალავრის საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან და სრულ თანხვედრაშია აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მისიასთან - უზრუნველყოს მაღალი ხარისხის განათლება, ხელი შეუწყოს სტუდენტების პიროვნულ განვითარებას, აღზარდოს პროფესიონალები და ლიდერები; წვლილი შეიტანოს რეგიონისა და ქვეყნის განვითარებაში. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>○ ფაკულტეტის საბჭოს დადგენილება №12, 23.02.2018 წ. (დანართი 8.3);<br><br>○ უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმა - http://atsu.edu.ge/index.php?option=com_content&view=article&id=329&Itemid=288&lang=en<br><br>საბაკალავრო პროგრამა -საკვები პროდუქტების ტექნოლოგია და უვნებლობა (დანართი 1-4);<br><br>○ ფაკულტეტის სტრატეგიული გეგმა (დანართი 9).<br><br>○ |
| **რეკომენდაციები:**<br><br>○ წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>○ არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):** |

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ <u>შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</u>

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

სწავლის შედეგები და კომპეტენციები (ზოგადი და დარგობრივი)

პროგრამის კურსდამთავრებულს აქვს მაღალი დონის ცოდნა:

მცენარეული და ცხოველური წარმოშობის სასურსათო ნედლეულში არსებული ძირითადი ნაერთთა კლასების შესახებ, იცის მათი მნიშვნელობა ადამიანის კვებაში;

- სასურსათო ნედლეულისა და საკვები პროდუქტების უვნებლობის, ხარისხის მახასიათებლებისა და მათი შეფასების თანამედროვე მეთოდების შესახებ.

- შეუძლია სხვადასხვა საკვები პროდუქტების წარმოების ნედლეულის,

ნახევარფაბრიკატებისა და მზა ნაწარმის ხარისხისა და უვნებლობის შეფასება;

ექსპლუატაცია; პროდუქტების წარმოებისათვის შესაბამისი მანქანების, აპარატების შერჩევა, მათი მატერიალური, თბური და ენერგეტიკული ბალანსის შედგენა და

- შეუძლია კვების პროდუქტების წარმოების ტექნოლოგიური პროცესების მიმდინარეობაზე მოქმედი ფაქტორების განსაზღვრა, გაანალიზება, ერთმანეთთან შედარება-დაკავშირება და დასკვნის გაკეთება კონკრეტული ამოცანის გადასაჭრელად;

- შეუძლია თავისი ნაშრომის (რეფერატის, მოხსენების) საჯარო წარმოდგენა-პრეზენტაცია, კითხვებსა და შენიშვნებზე პასუხის გაცემა შესაბამისი ცოდნითა და ლოგიკით;

- შეუძლია პროფესიულ საკითხებზე დისკუსიებში მონაწილეობის მიღება, როგორც

  სპეციალისტებთან, ისე არასპეციალისტებთან.

- პრაქტიკული საქმიანობის პროცესს წარმართავს შრომის დისციპლინის, შრომის

  უსაფრთხოების ნორმების დაცვით და მეცნიერული ორგანიზაციის მეთოდების გამოყენებით;

- გაცნობიერებული აქვს ჯანსაღი საკვები პროდუქტების მნიშვნელობა ერის კეთილდღეობისათვის.

პროგრამით „საკვები პროდუქტების ტექნოლოგია და უვნებლობა“ გათვალისწინებული სასწავლო კურსები, სწავლა/სწავლების და შეფასების მეთოდები, სწავლის შედეგები და მისი მიღწევის შესაძლებლობების რეალურობა განხილულია „საკვები პროდუქტების ტექნოლოგიების“ დეპარტამენტისა და საინჟინრო–ტექნოლოგიური ფაკულტეტის საბჭოს სხდომებზე.

2015 წელს პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მიზნით ჩატარდა შეხვედრა საბაკალავრო პროგრამის „სასურსათო ტექნოლოგია“ კურსდამთავრებულთა პოტენციურ დამსაქმებლებთან საქართველოს შემდეგ რეგიონებში: ქუთაისი, სამტრედია, ხონი, ბაღდათი, ზესტაფონი, ვანი, ლანჩხუთი, ჩოხატაური, ბათუმი, თბილის, გორი. მოხდა მათთვის შესაბამისი საბაკალავრო პროგრამის გაცნობა და ჩატარდა გამოკითხვა აწსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ შედგენილი კითხვარის შესაბამისად. გამოკითხული იყო სასურსათო ტექნოლოგიის მიმართულების (სურსათის უვნებლობა, პურ-პროდუქტების, ხორცის, რძის, ალკოჰოლიანი და უალკოჰოლო სასმელების, კონსერვების, საზ. კვების პროდუქტების და სხვა) 58 დამსაქმებელი-საწარმო. დამსაქმებლები თვლიან რომ სპეციალისტის დონის ასამაღლებლად საჭიროა სასწავლო პროგრამაში

დამატებით შემდეგი საკითხების გათვალისწინება, კერძოდ საჭიროა

„სურსათის უვნებლობის“ სპეციალისტების მომზადებაში სანიტარულ-ჰიგიენური, ვეტერინალური

და ფიტოსანიტარული ანალიზის მეთოდების სწავლება;

უცხოელთა კვების თავისებურებებისა და ტექნოლოგიების სწავლების გააქტიურება;

ხორცის პროდუქტების წარმოების სპეციალისტები ითხოვენ ხორცის პროდუქტების წარმოების თანამედროვე ტექნოლოგიებში გამოყენებული საკვები დანამატების ფართო ასორტიმენტის ცოდნასა და მისი გამოყენების პრაქტიკული უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებას მომავალ სპეციალისტში; პურფუნთუშეული პროდუქტების წარმოებაში გამოყენებული ნედლეულის ქიმიური შედგენილობის ანალიზისა და ხარისხის კორექციის პრაქტიკული უნარ-ჩვევების ჩამოყალიბება. თუმცა, დამსაქმებელთა ეს მოსაზრებები ჯერ-ჯერობით მხოლოდ ნაწილობრივ აისახა წარმოდგენილ პროგრამაში.

სწავლის შედეგებისა და მის გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრის გაუმჯობესების მიზნით კურუკულუმის კომისიის მიერ პერიოდულად ტარდება სასწავლო კურსების პროგრამების (სილაბუსების) ანალიზი, რომლის შედეგადაც რიგ საგნებში გაიზარდა საკონტაქტო საათებში ლაბორატორიულ სამუშაოთა წილი, კერძოდ თანაფარდობა ლექცია/ლაბორატორიული 15/30 შეიცვალა თანაფარდობით 8/37, რამაც გააუმჯობესა სწავლის შედეგი და უფრო გაზომვადი გახადა ის. აღნიშნული ცვლილებები ასახულია შესაბამისი წლების პროგრამის თვითშეფასებებში.

სწავლის შედეგების გაუმჯობესებისა და სტუდენტებში კვლევითი უნარების განვითარების მიზნით დეპარტამენტში დანერგილია მათი მოტივაციის შემდეგი პრაქტიკა: „სასურსათო ტექნოლოგიის“

სადოქტორო პროგრამაზე სწავლის გაგრძელების შემთხვევაში ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის საფეხურებზე დაწყებული კვლევა ღებულობს სადოქტორო დისერტაციის შესაბამის ფორმას, შინაარსსა და მასშტაბებს. რაც უზრუნველყოფს მათში მაღალი დონის კომპლექსური უნარების, ტექნოლოგიურ პროცესებში ღრმა წვდომის, სიახლისა და პროგრესისაკენ სწრაფვის უნარებისა და ინოვაციური აზროვნების ჩამოყალიბებას.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

„საკვები პროდუქტების ტექნოლოგია და უვნებლობა“ საბაკალავრო პროგრამა; (დანართი 1-4);

- ფაკულტეტის საბჭოს ოქმები (დანართი 8.1, 8.2, 8.);
- პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებული მემორანდუმები/ხელშეკრულებები (დანართი 16).

| |
|---|
| ○ საბაკალავრო პროგრამის "სასურსათო ტექნოლოგია" თვითშეფასებები 2012-2017წწ (დანართი 21). |
| **რეკომენდაციები:**<br><br>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br><br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)<br>○ |
| **შეფასება**<br><br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>☐ <u>შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</u><br><br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

## პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| საგანმანათლებ | + | | | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა | | | | |

## 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

| 2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები |
|---|
| უსდ-ს განსაზღვრული აქვს  პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>საბაკალავრო პროგრამის სტუდენტი შეიძლება გახდეს:<br><br>- სრული ზოგადი განათლების მქონე პირი, რომელმაც წარმატებით ჩააბარა ერთიანი ეროვნული გამოცდები;<br>- ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესით)<br>- უცხო ქვეყნის მოქალაქე და მოქალაქეობის არმქონე პირს, რომელმაც უცხო ქვეყანაში მიიღო სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლება;<br>- საქართველოს მოქალაქე, რომელმაც უცხო ქვეყანაში მიიღო სრული ზოგადი ან მისი ექვივალენტური განათლება და სრული ზოგადი განათლების ბოლო 2 წელი ისწავლეს უცხო ქვეყანაში;<br>- პირი, რომელიც სწავლობს/სწავლობდა და მიღებული აქვს კრედიტები უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში.<br><br>საბოლოო ჯამში პროგრამზე დაშვების წესები გამჭვირვალეა და შეესაბამება |

| |
|---|
| საქართველოს კანონმდებლობას. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br>• „საკვები პროდუქტების ტექნოლოგია და უვნებლობა“ საბაკალავრო პროგრამა (დანართი 1-4);<br>• ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილება მისაღები კონტიგენტისა და მობილობით მისაღები სტუდენტების ადგილების განსაზღვრის შესახებ (დანართი 8.4-7);<br>• დადგენილება №12 (17/18) - სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერების, შეწყვეტის, აღდგენის, მობილობის, კვალიფიკაციის მინიჭებისა და მიღებული განათლების აღიარების წესის დამტკიცების შესახებ (დანართი 12.2). |
| **რეკომენდაციები:**<br>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)<br>○ |
| **შეფასება**<br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><u>☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</u><br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან |

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

საბაკალავრო პროგრამა „საკვები პროდუქტების ტექნოლოგია და უვნებლობა" შედგენილია აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში მოქმედი „საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის- EP-QA" (აწსუ აკადემიური საბჭოს 2018 წლის 9 თებერვლის დადგენილება #49 (17/18) შესაბამისად, რომლის მიზანია, ხელი შეუწყოს მაღალი აკადემიური სტანდარტების მქონე, შედეგზე ორიენტირებული საგანმანათლებლო პროგრამების (აკადემიური და პროფესიული) შექმნასა და განვითარებას.

**პროგრამის მოცულობა შეადგენს 240 ECTS კრედიტს: მათ შორის:**

ძირითადი (major) პროგრამა - 180 კრედიტი (8 სემესტრი).

მათ შორის: საუნივერსიტეტო სავალდებულო კურსები - 23 კრედიტი; საფაკულტეტო სავალდებულო კურსები - 60 კრედიტი; ძირითადი სპეციალობის სავალდებულო კურსები - 57 კრედიტი; არჩევითი კურსები - 40 კრედიტი.

დამატებითი (minor) პროგრამა - 60 კრედიტი, (6 სემესტრი).

პროგრამის სასწავლო გეგმა (სტრუქტურა) აგებულია ლოგიკურად და თანმიმდევრულად და ითვალისწინებს სვლას მარტივიდან კომპლექსურისაკენ; გაცნობითი ხასიათისა და საბაზისო კურსებს მოსდევს სპეციალიზაციის კურსები.

პრორგამის შინაარსი უზრუნველყოფს კურსდამთავრებულის სწავლის შედეგებზე გასვლას.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- „საკვები პროდუქტების ტექნოლოგია და უვნებლობა" საბაკალავრო პროგრამა (დანართი 1);
- აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის

| |
|---|
| კონცეფცია, ქუთაისი, დადგენილება 49(17/18), 9 თებერვალი, 2018 წ (დანართი 12. 4);<br>- სასწავლო კურსის სილაბუსები (დანართი 5). |
| **რეკომენდაციები:**<br>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)<br>○ |
| **შეფასება**<br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br>☐ <u>შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</u><br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| 2.3. სასწავლო კურსი |
|---|
| ➢ ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;<br>➢ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. |

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსების მიზნები და შედეგები სრულ შესაბამისობაშია პროგრამის მიზნებთან და შედეგებთან და უზრუნველყოფს უმაღლესი განათლების მქონე პირის მომზადებას სფეროს მაღალი დონის ცოდნითა და ფართო დარგობრივი კომპეტენციებით, რომელიც ორიენტირებული იქნება პრაქტიკულ საქმიანობასა და სწავლის გაგრძელებაზე უმაღლესი განათლების შემდეგ საფეხურებზე.

სასწავლო კურსი გაწერილია სილაბუსში, რომელიც მოიცავს შემდეგ ინფორმაციას: კურსის დასახელება, კურსის ტიპი, კრედიტების რაოდენობა შესაბამისი საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების მითითებით, კურსის განმახორციელებელი, კურსის მიზანი, სასწავლო კურსის ფორმატი, სწავლის შედეგები, შეფასების სისტემა და კრიტერიუმები, სწავლა/სწავლების მეთოდები, სასწავლო რესურსები, კურსის შინაარსი და სხვა.

სასწავლო კურსის სილაბუსით დეტალურად არის აღწერილი სტუდენტის შეფასების ფორმები, მეთოდები და რუბრიკები, მითითებულია კურსის შესწავლისათვის რეკომენდებული ძირითადი და დამხმარე ლიტერატურა, რომელიც უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაშია განთავსებული ბეჭდური და/ან ელექტრული სახით.

ამასთან ერთად, აღსანიშნავია გარკვეული ხარვეზებიც, კერძოდ:

სილაბუსებში ნაკლებადაა გამოყენებული ინგლისურენოვანი თანამედროვე ლიტერატურა. საგნებში „სამაცივრო ტექნოლოგიები“ და „კვების მწერველობის პროცესები და მოწყობილობები“ გამოყენებული ლიტერატურა მოძველებულია, უკანასკნელ საგანში კი ძირითადად რუსული ლიტერატურაა გამოყენებული. აქვე ვკითხულობთ

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 11 | ლექცია | ადსორბცია. ფერმენტაცია. პასტერიზაცია და სტერილიზაცია. | 1 | [10.1,10.2,10.4],[10.6] 53-56 |
| | პრაქტიკული | ადსორბცია. ძირთადი დამოკიდებულებები და საანგარიშო ფორმულები. | 2 | [10.7]გვ.64-70 |

ეს სამი საკითხი ერთმანეთისაგან სრულიად განსხვავებული საკითხებია და მათი ერთ ლექციად გაერთიანება არასწორია. იგივე ითქმის მე-13 ლექციის თემატიკაზე:

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 13 | ლექცია | კრისტალიზაცია და ხსნადობა. პროცესების კინეტიკა. წმენდის, დეზინფექციისა და რეცხვისათვის გამოყენებული ნივთიერებები. | 1 | [10.1,10.2,10.4,10.6] [11.6]გვ.245-249 |
| | პრაქტიკული | მემბრანების რეგენერაციის და მემბრანული აპარატების დეზინფექციის ამოცანები | 2 | [11.4]გვ.113-118 |

არ ჩანს, რომ ამ საგნებში ამოცანების ამოხსნა ხდება პრაქტიკულებზე.

საწარმოო პრაქტიკა (სილაბუსის ნიხედვით) ძირითადად ეთმობა ამა თუ იმ პროცესის უბრალოდ გაცნობას, სტუდენტების მონაწილეობა უშუალოდ წარმოებაში არ ჩანს. წინასწარ დაგეგმილია რამდენიმე საწარმო რომლებშიც სტუდენტები გაცნობით ექსკურსიაზე მოგზაურობენ. ამავე საგანში არის შუალედური გამოცდა, რომლის შეფასების კრიტერიუმები სილაბუსში მოცემული არ არის.

| |
|---|
| საგნების „გამოყენებითი მექანიკა“ და „ელექტროტექნიკა“ შინაარსი არ შეესაბამება სასურსათო ტექნოლოგიების ბაკალავრის კომპეტენციებს, ამ საგნების შინაარს არ აქვს კავშირი სასურსათო ტექნოლოგიების ბაკალავრის სპეციალობასთან |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br>– „საკვები პროდუქტების ტექნოლოგია და უვნებლობა“ საბაკალავრო პროგრამა (დანართი 1);<br>– სასწავლო კურსის სილაბუსები (დანართი 5)<br>– „საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფცია - EP-QA“, აწსუ 2018 წლის 9 თებერვალი, №49 (17/18) (დანართი 12.4);<br>– აწსუ ბიბლიოთეკა - http://www.atsu.edu.ge/index.php?option=com_content&view=article&id=508&Itemid=762&lang=en;<br>– აწსუ–ს ბიბლიოთეკის დირექტორის ცნობა ფონდში ძირითადი ლიტერატურის განთავსების შესახებ (დანართი 19); |
| **რეკომენდაციები:**<br>- გაძლიერდეს თანამედროვე ინგლისურენოვანი ლიტერატურის გამოყენება სილაბუსებში<br>- საგნები „გამოყენებითი მექანიკა“ და „ელექტროტექნიკა“ არჩევით ბლოკში უნდა იქნას გადატანილი, ხოლო მათ ნაცვლად ძირითადი სპეციალობების სწავლება უნდა გაძლიერდეს. მაგალითად დაემატოს საგნები საკვები დანამატებ, ფუნქციონალური საკვები, ნუტრაცევტიკალები და სხვ.<br>- საგნის „საწარმოო პრაქტიკა“ სილაბუსში მოცემულ უნდა იქნას შუალედური გამოცდის შეფასების კრიტერიუმები.<br>- |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br>- საწამოო პრაქტიკაში მეტი ყურადღება დაეთმოს სტუდენტების წარმოების პროცესში უშუალო მონაწილეობას<br>- დაზუსტდეს საგნის „კვების მწერველობის პროცესები და მოწყობილობები“ სილაბუსის საკითხები |

| |
|---|
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br><br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)<br>○ |
| **შეფასება**<br><br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ <u>მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</u><br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| |
|---|
| **2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება** |
| პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>წარმოდგენილი პროგრამა მაღალი დონის საუნივერსიტეტო ფუნდამენტალური განათლების უზრუნველყოფასთან ერთად მიმართულია სტუდენტებისათვის პრაქტიკული უნარების განვითარებისაკენ. მიღებული ცოდნის საფუძველზე სტუდენტები შეძლებენ დასაქმდნენ შესაბამის სფეროში (კვების მრეწველობის მცირე და დიდი საწარმოები, სპეციალიზირებული საამქროები, ფირმები, კერძო კომპანიები: წისქვილ-ქარხნები, პურ-ფუნთუშეულის, საკონდიტროს, მაკარონის, ხორცისა და რძის გადამამუშავებელი, ღვინის, ლუდის, სპირტის, ლიმონათის, საზოგადოებრივი კვების ობიექტები და სხვა მრავალპროფილიანი კვების საწარმოები.<br><br>სპეციალიზირებულ-დარგობრივი, სასერტიფიკაციო და კვლევითი ლაბორატორიები, მონიტორინგის უწყებები და ორგანიზაციები), მიიღონ მონაწილეობა საწარმოო ტექნოლოგიურ პროცესში და დამოუკიდებლად წარმართონ მისი ცალკეული ეტაპები. |

| |
|---|
| ბაკალავრები შეძლებენ აქტიური მონაწილეობა მიიღონ საუნივერისტეტო, საქალაქო, ადგილობრივ და საერთაშორისო კონკურსებში, სტუდენტურ კვლევებში, გამოფენებზე და სხვა ღონისძიებებში.<br><br>დაინტერესებული სტუდენტები მონაწილეობას მიიღებენ სამეცნიერო-კვლევით მუშაობაში და თავიანთი მუშაობის შედეგებს წარადგენენ სტუდენტურ კონფერენციაზე, რომელიც ტრადიციულად, ყოველწლიურად იმართება სტუდენტური დღეების ფარგლებში, 2018-2019 სასწავლო წლიდან ძალაში შევა უნივერისტეტის აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილება სტიპენდიის დანიშვნის ერთ-ერთ კრიტერიუმად სტუდენტის აქტივობა შესაბამისი კუთხით.<br><br>უნივერსიტეტში ფუნქციონირებს სხვადასხვა სახის მხატვრული თვითშემოქმედების წრეები და სპორტული სექციები. სტუდენტის მიერ მოწყობილი სხვადასხვა სახის ღონისძიებები ხელს უწყობს ახალგაზრდებში ზნეობრივი, ეთიკური და მოქალაქეობრივი ღირებულებებისა და თვისებების ჩამოყალიბებას.<br><br>პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების შეფასების მიზნით, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს დაგეგმილი აქვს შეიმუშაოს კითხვარი სტუდენტთა გამოკითხვის მიზნით. შედეგების მიხედვით პროგრამის ხელმძღვანელთან ერთად დაიგეგმება სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო ღონისძიებები. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>– ფაკულტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმა (დანართი 9);<br>– ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები სასწავლო სამეცნიერო ცენტრებთან და ორგანიზაციებთან:.<br>– საგრანტო ხელშეკრულებები (დანართი 20.1-4).<br>– განმახორციელებელი პერსონალის CV-ები. |
| **რეკომენდაციები:**<br><br>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br><br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |

| |
|---|
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)<br>○ |
| შეფასება<br><br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

## 2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

პროგრამის სტრუქტურა უზრუნველყოფს თეორიული ცოდნისა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების შეძენის შესაძლებლობას; ზოგადი და დარგობრივი კომპეტენციების ჩამოყალიბებას. სწავლის შედეგების მიღწევის მიზნით გამოიყენება ინტერაქტიური სწავლების თანამედროვე

მეთოდები. სასწავლო კურსების შესწავლა ხორციელდება როგორც პროგრამის

განმახორციელებელი პერსონალის უშუალო მონაწილეობით, ისე ბაკალავრის დამოუკიდებელი მუშაობის გზით. სწავლების პროცესში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა თეორიულ-მიმოხილვითი ლექციების, დისკუსიების ჩატარებას, რეფერატის მომზადება-პრეზენტაციას, მიზნობრივი წერითი დავალების თუ პრაქტიკული სამუშაოს შესრულებას.

აქედან გამომდინარე, პროგრამის ფარგლებში გამოყენებულია სწავლების შემდეგი მეთოდები: ვერბალური მეთოდი, პრაქტიკული მეთოდი, ელექტრონული სწავლების მეთოდი, დემონსტრირების მეთოდი, ლაბორატორიული მეთოდი, დისკუსია/დებატები.

სწავლების პროცესში გამოყენებულია სწავლების ფორმები - ლექცია, ლაბორატორიული მუშაობა და დამოუკიდებელი მუშაობა. ასევე ისეთი აქტიური მეთოდები როგორიცაა: ვერბალური მეთოდი, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება, ახსნა-განმარტებითი მეთოდი, დემონსტრირების მეთოდი, დისკუსია/დებატები, გონებრივი იერიში,

ინდუქციური და დედუქციური მეთოდები, ანალიზისა და სინთეზის მეთოდები, ჯგუფური მუშაობა, ელექტრონული სწავლების მეთოდი, წიგნზე მუშაობის მეთოდი, პრეზენტაცია.

**ვერბალური ანუ ზეპირი მეთოდი** - გულისხმობს სალექციო მასალის გადაცემას სტუდენტისათვის ვერბალური გზით, რომლის დროსაც გამოიყენება კითხვა–პასუხის, ინტერაქტიური მუშაობის, პრაქტიკული სიტუაციის მოდელირების საფუძველზე თეორიული დებულებების ახსნის მეთოდები;

**პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება** - არის ახალი ცოდნის მიღების და ინტეგრაციის პროცესის საწყის ეტაპად პრობლემის გამოყენება.

**ახსნა–განმარტებითი მეთოდი** - ეფუძნება მოცემული საკითხის ირგვლივ მსჯელობას. დემონსტრირების მეთოდი გულისხმობს ინფორმაციის ვიზუალურად წარმოდგენას სლაიდ-შოუს, ფოტო- და ვიდეომასალის გამოყენებით.

| |
|---|
| **დისკუსია/დებატები** - სტუდენტებს საშუალება ეძლევათ აქტიურად გამოხატონ მიღებული ცოდნა და ინტენსიურად ჩაერთონ ჯგუფში მუშაობის პროცესში, განახორციელონ საკუთარი მოსაზრებების არგუმენტირებული დაცვა;<br><br>**გონებრივი იერიში** - გულისხმობს დავალების ფარგლებში კონკრეტული საკითხის/პრობლემის შესახებ მაქსიმალურად შესაძლებელი (შესაძლოა რადიკალურად განსხვავდებული) მოსაზრების, იდეის ჩამოყალიბებასა და დასაბუთებას.<br><br>ინდუქციური მეთოდი - მასალის გადმოცემის პროცესი მიმდინარეობს კერძო (კონკრეტული) ფაქტებიდან ზოგადისაკენ.<br><br>**დედუქციური მეთოდი** - მასალის გადმოცემის პროცესი მიმდინარეობს ზოგადი თეორიებიდან კერძო (კონკრეტული) ფაქტებისაკენ.<br><br>**ანალიზის მეთოდი** - გულისხმობს სასწავლო მასალის, როგორც ერთი მთლიანის, შემადგენელ ნაწილებად დაშლას, რაც ამარტივებს დასმული პრობლების შიგნით არსებული ცალკეული საკითხების დეტალურ გაშუქებას.<br><br>**სინთეზის მეთოდი** - გულისხმობს ცალკეული საკითხების თავმოყრით მთლიანის შესახებ წარმოდგენის შექმნას. იგი ხელს უწყობს პრობლების, როგორც „მთელის“ დანახვის უნარის განვითარებას.<br><br>**ჯგუფური მუშაობა** - ლაბორატორიული მეცადინეობის დროს სტუდენტთა ჯგუფს (2-4 სტუდენტი) მიეცემა ერთი დავალება, რომელიც ერთად - ურთიერთდახმარებითა და ერთმანეთის აზრის გათვალისწინებით უნდა შეასრულონ.<br><br>**ელექტრონული სწავლების მეთოდი** - სტუდენტები უზრუნველყოფილი იქნებიან სალექციო მასალისა და ლაბორატორიული სამუშაოების მეთოდური მითითებების ელექტრონული ვერსიებით. დამოუკიდებელი სამუშაოს შუალედური შემოწმება მოხდება ელექტრონულად.<br><br>**წიგნზე მუშაობის მეთოდი** - ძირითად და დამხმარე ლიტერატურაში გამოყენებული იქნება სახელმძღვანელოები უნივერსიტეტის წიგნთა ფონდიდან, რომლითაც უნდა იხელმძღვანელონ სტუდენტებმა.<br><br>**პრეზენტაცია** - სტუდენტები ვალდებული არიან მოიძიონ რელევანტური მასალა წინასწარ მოცემულ საკითხზე და წარმოადგინონ სლაიდ-შოუს სახით. პრეზენტაცია შეიძლება წარმოდგენილ იქნას როგორც ინდივიდუალურად, ისე ჯგუფურად. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები |

– „საკვები პროდუქტების ტექნოლოგია და უვნებლობა“ საბაკალავრო პროგრამა (დანართი 1); სასწავლო კურსის სილაბუსები (დანართი 5);

– პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის კომპეტენციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია (დანართი 6);

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ <u>შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</u>

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 2.6. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

საგანმანათლებლო პროგრამაში გამოყენებული შეფასების სისტემა შეესაბამება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 ბრძანების "უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტების გაანგარიშების წესს" (2016 წლის 1 სექტემბრის მდგომარეობით).

კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ სტუდენტის მიერ სილაბუსით დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ;

შეფასების სისტემა:

ა) ხუთი სახის დადებითი შეფასება:

ა.ა) (A) ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი; ა.ბ) (B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90%; ა.გ) (C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80%;

ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70%; ა. ე) (E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60%; ბ) ორი სახის უარყოფითი შეფასება:

ბ.ა) (FX) ვერჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება.

ბ.ბ) (F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს,რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი. საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტში, FX-ის მიღების შემთხვევაში დამატებითი გამოცდა დაინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში. სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია.

სტუდენტის გაწეული შრომის შეფასება გარკვეული შეფარდებით ითვალისწინებს:

ა) შუალედურ შეფასებას;

ბ) დასკვნით შეფასებას.

დასკვნითი გამოცდა არ უნდა შეფასდეს 40 ქულაზე მეტით.

შუალედური შეფასებების კომპონენტებში მინიმალური კომპეტენციის ზღვარი ჯამურად შეადგენს არანაკლებ 18 ქულას; დასკვნით გამოცდაზე სტუდენტის მიერ მიღებული შეფასების მინიმალური ზღვარი შეადგენს 15 ქულას.

საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტში, FX-ის მიღების შემთხვევაში დამატებითი გამოცდა დაინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში. სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება საგანმანათლებლო და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების შემთხვევაში, სტუდენტს უფორმდება შეფასება F-0 ქულა.

სასწავლო კურსში სტუდენტის მიღწევების შეფასების დამატებითი კრიტერიუმები განისაზღვრება შესაბამისი სილაბუსით.

საგანმანათლებლო პროგრამები ყოველწლიურად განიცდის განახლებას და ყველა ცვლილება აისახება წლიურ თვითშეფასების ანგარიშში. ცვლილებების მნიშვნელოვანი წილიმოდის შეფასების სისტემის გასაუმჯობესებელ ღონისძიებებზე. მაგალითად, 2016 წლის სექტემბერში აკადემიურმა საბჭომ დაამტკიცა 2016-2017 სასწავლო წლის საგანმანათლებლო პროგრამები. საგანმანათლებლო პროგრამებში განხორციელდა ცვლილებები, რომელიც ფორმირებულ იქნა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 ბრძანების "უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტების გაანგარიშების წესი" 2016.29.01 და 2016.18.08 ცვლილებები) გათვალისწინებით და ციკლური პროცესის ("დაგეგმე - განახორციელე - შეამოწმე - განავითარე") გამოყენებით.

ყოველი ცვლილება, რაც იგეგმება და ხორციელდება უცხო ენების სწავლებასთან დაკავშირებით ეყრდნობა კონკრეტული კვლევების ანალიზს. მათ შორის უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ორგანიზებით პირველკურსელთა გამოკითხვა უცხო ენების საუნივერსიტეტო კურსთან დაკავშირებით (2011-2012 სასწ. წწ.), ენათა ცენტრის მიერ მომზადებული კვლევა „გაუსის განაწილების" გამოყენებით ფაკულტეტების მიხედვით (2013-2014, 2014-2015 სასწავლო წლების მონაცემებზე დაყრდნობით).

საუნივერსიტეტო მასშტაბით, ყველა საბაკალავრო პროგრამაში ცვლილება განიცადა უცხო ენის სილაბუსებმა, რომლებიც გაუმჯობესდა დონეების მიხედვით სასწავლო ლიტერატურისა და

2017-2018 სასწავლო წლის საგანმანათლებლო პროგრამებში აისახა უნივერსიტეტის მიერ სასწავლო პროცესისა და შეფასების საკითხებზე მიღებული რეგულაციები. ხუს-ის მიერ წარდგენილი ანალიზის შესაბამისად, უნივერსიტეტი გადავიდა ერთ შუალედური გამოცდაზე, ხოლო შუალედური შეფასების ზღვრულ ქულად განისაზღვრა 18-25 ქულა (პროგრამების მიხედვით). შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამების სილაბუსებში შეიცვალა და გაუმჯობესდა

შეფასების მეთოდები და კრიტერიუმები.

სტუდენტის მიმდინარე შეფასება ხდება ჯგუფის თანდასწრებით ღიად და გამჭვირვალედ. სტუდენტს უფლება აქვს გააპროტესტოს შედეგი (სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემას შესაბამისი ფუნქციის გამოყენებით ან განცხადების შეტანით სტუდენტური სერვისების განყოფილებაში) და მოითხოვოს ახსნა-განმარტება პედაგოგისაგან.

უნივერსიტეტში მოქმედი სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემას სისტემა ხელს უწყობს სწავლის პროცესის ადმინისტრირებას. სტუდენტს საშუალება აქვს მუდმივად აკონტროლოს საკუთარი პროფილი, სასწავლო ბარათი, გაეცნოს საგანმანათლებლო პროგრამებს, სილაბუსებსა და საგნების სწავლების სპეციფიკას (წინაპირობებიდან და განსაკუთრებული მოთხოვნებიდან გამომდინარე), ასევე საშუალება ეძლევა ელექტრონულად აირჩიოს არჩევითი საგანი, პროგრამის სპეციალიზაცია, დამატებითი (minor) პროგრამა, დავალიანებაში დარჩენილი ასათვისებელი საგანი.

სტუდენტებს ასევე საშუალება აქვთ, ისარგებლონ კორპორაციული ფოსტებით და მათი ყველა საშეღავათო პაკეტით (რომელიც დაშვებულია აწსუ–სათვის), რომელიც მათთვის დარეგისტრირდება უნივერსიტეტში მათი რეგისტრაციის გავლის მომენტში. აღნიშნული ფოსტის მეშვეობით, სტუდენტს საშუალება აქვს, მიიღოს ყველა ინფორმაცია, მათ შორის მისი აკადემიური მოსწრების შესახებ, სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემის მეშვეობით პირადი კოდით, რომელიც ყველა სტუდენტს ეგზავნება ინდივიდუალურად და უზრუნველყოფს მის კონფიდენციალურობას.

უნივერსიტეტში ბაკალავრიატის, ერთსაფეხურიან (ქართულ და ინგლისურ ენოვანი), მაგისტრატურის და დამატებით (minor) საგანმანათლებლო პროგრამებზე საგამოცდო პროცესი წარიმართება ცენტრალიზებულად. გამოცდების ჩატარებას ტექნიკურ ორგანიზაციას უწევს სასწავლო პროცესის მართვის სამსახურში არსებული საგამოცდო სექტორი.

აწსუ-ში არსებობს შეფასების გასაჩივრების ეფექტური სისტემა. აკადემიური საბჭოს 2017 წლის 10 ნოემბრის №10 (17/18) დადგენილებით დამტკიცებულია გამოცდების აპელაციის წესი. სტუდენტი, რომელიც არ ეთანხმება სემესტრულ დასკვნით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას, უფლებამოსილია, შედეგის ოფიციალური გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში დასაბუთებული აპელაციით მიმართოს რექტორის მოადგილეს, შესაბამისი ფაკულტეტის დეკანს და მოითხოვოს შედეგების გადასინჯვა (მესამე და მეოთხე სასწავლო წლის სტუდენტები განცხადებას წერენ სტუდენტური მომსახურების სერვის ცენტრში, ხოლო პირველი და მეორე სასწავლო წლის სტუდენტები - ელექტრონულ დეკანატში). სტუდენტის აპელაციას 2 სამუშაო დღის ვადაში განიხილავს კომისია, რომელსაც ადგენს ფაკულტეტის დეკანი დეპარტამენტის ხელმძღვანელის წარდგინებით და წარუდგენს რექტორის მოადგილეს. აპელაციის კომისია იღებს გადაწყვეტილებას, ადგენს ოქმს და აპელაციის დაკმაყოფილების შემთხვევაში მას წარუდგენს რექტორის მოადგილეს, რომელიც ამტკიცებს კომისიის გადაწყვეტილებას და გადაეცემა ელექტრონულ დეკანატს ელექტრონული მართვის სისტემაში ნიშნის ასახვის თაობაზე. სააპელაციო კომისია უფლებამოსილია, სტუდენტის შეფასება

შეცვალოს (მაგრამ არა საუარესოდ) ან დატოვოს ძალაში. აღნიშნული გადაწყვეტილება ფორმდება შესაბამისი ოქმით, რომელსაც ხელს აწერენ კომისიის წევრები და წარუდგენენ რექტორის მოადგილეს, როგორც სააპელაციო კომისიის თავმჯდომარეს.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2017 წლის 15 სექტემბრის დადგენილება №5(17/18) აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში სტუდენტთა შეფასების სისტემის დამტკიცების შესახებ; (დანართი 12. 6)
- „საკვები პროდუქტების ტექნოლოგია და უვნებლობა" საბაკალავრო პროგრამა (დანართი

  1);
- სასწავლო კურსის სილაბუსები (დანართი 5);
- www.atsu.edu.ge .

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
- 

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ <u>შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</u>

| |
|---|
| ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

## პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა | + | | | |

## 3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

| 3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება |
|---|
| სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>პირველი კურსის სტუდენტებთან შეხვედრას აწყობს ფაკულტეტის ადმინისტრაცია, დეპარტამენტის და პროგრამის ხელმძღვანელები, რომლებიც აცნობენ სტუდენტებს სასწავლო პროცესის თავისებურებებს, სწავლებისა და შეფასების მეთოდებს, საკრედიტო სისტემას, აძლევენ ინფორმაციას საუნივერსიტეტო სივრცის შესახებ და ა.შ. სტუდენტებს ეძლევათ საცნობარო ბროშურები, სადაც აღწერილია უნივერსიტეტისა და სასწავლო პროცესის ძირითადი ასპექტები და მითითებულია სასწავლო პროცესზე პასუხისმგებელი პირების |

საკონტაქტო ინფორმაცია, უნივერსიტეტის ვებ–გვერდისა და სოციალური ქსელების ვებ– მისამართები. უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე შესაძლებელია მოპოვებულ იქნას ინფორმაცია უნივერსიტეტში განხორციელებადი ყველა პროგრამის შესახებ. წარმოდგენილი პროგრამის აკრედიტაციის გავლის შემდეგ, ეს პროგრამაც ჩაერთვება საუნივერსიტეტო პროგრამათა კატალოგში.

სტუდენტებს სხვადასხვა სახის ინფორმაციას (ფაკულტეტზე ჩარიცხვის წესის, პროგრამის არჩევის, პროგრამის სტრუქტურის, არჩევითი კურსებისა და ა.შ. შესახებ), ფაკულტეტის მდივანი, ჯგუფის კურატორები, ტუტორები, და სტუდენტური თვითმმართველობის წარმომადგენლები.

კონსულტაციასა და დახმარებას მისთვის საჭირო საკითხებზე აწვდიან ასევე

უნივერსიტეტში აქტიურად ფუნქციონირებს სტუდენტთა მხარდაჭერისა და განვითარების სერვისები. აღნიშნული სამსახური საქმიანობს შემდეგი მიმართულებებით:

– სტუდენტთა განცხადებების ელექტრონული მოძრაობის ორგანიზება;

– სტუდენტთა კარიერული განვითარების ხელშეწყობა;

– სტუდენტთა ომბუდსმენი;

– სტუდენტთა ფსიქოთერაპევტი;

– აწსუ-ს კურსდამთავრებულთა ქსელი.

უნივერსიტეტში ფუნქციონირებს საქმისწარმოების ელექტრონული სისტემა eFlow, რომელმაც საგრძნობლად გაამარტივა და მოწესრიგებული გახადა სტუდენტთა მომსახურება. სტუდენტთა მხარდაჭერისა და განვითარების სერვისების სამსახურის საშუალებით სტუდენტი მისთვის საჭირო ნებისმიერი საკითხის შესახებ იღებს მომსახურებას.

